ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1706804

ნომერი: AR1279471

თარიღი : 16.01.2015

გაცემის თარიღი : 30.01.2015

გაცნობის თარიღი : 30.01.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდუბის ავტოსადგურსა და დიღმის მასივში შესასვლელ ხიდს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ორგანიზაცია:
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" კოდი: 404391136

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი :..საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა -> ..მესაკუთრეთა თანხმობის pdf ფაილი : ველში ატვირთულია იჯარის ხელშეკრულება სადაც ხელშეკრულება გაფორმებულია შპს "სან ოილ ჯორჯია"–ს და შპს შპს "გეორგია"-ს –შორის და არა შპს "გეორგია"-ს და შპს სან "პეტროლიუმ ჯორჯია"-ს შორის , ამავე დროს ხელშეკრულებით საიჯარო ქონება, კერძოდ კი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი დაფიქსირებულია #01.13.03.051.056, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთი "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" მონიშნულია საკადასტრო კოდი N 01.13.03.051.057. ამიტომ ატვირთული დოკუმენტი ვერ იქნება მიჩნეული შპს "გეორგია"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.13.03.051.057) სარეკლამო ბანერების მოწყობისათვის მისაღებ დოკუმენტად.

აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ რომ თქვენი საკითხის გადასაწყვეტად, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" საკადასტრო კოდი N 01.13.03.051.057 მიწის ნაკვეთზე არსებულ ღობეზე სარეკლამო სარეკლამო ბანერის განთავსებისათვის წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს "გეორგია"-ს მიერ გაცემული თქნხმობა დამოწმებული ნოტარიული წესით ან ასევე შესაძლებელია შპს "გეორგია"-ს უფლებამოსილი პირი მოქ. მარიამ გიორგაძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად (რის თაობაზეც სამსახურის მიერ ინფორმაცია უკვე გეცნობათ №1705714 გადაწყვეტილებით).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.